არასამეწარმეო(არაკომერციული)
იურიდიული პირი
ლაგოდეხის სერვის ცენტრი

LAGODEKHI
N.N.J.P.
SERVICE CENTER

2700 ქ.ლაგოდეხი, ჩოლოყაშილისვილის ქ №8;
ტელ:(+995) 577 07 47 27
ელ.ფოსტა:Lagservice2018@gmail.com
ს/კ: 433105659

საბანკო კოდი - LBRTGE22

Lagodekhi, 2700,Tcholokashvili st; ქ №8

Tel.:(+995) 577 07 47 27

email: Lagservice2018@gmail.com

Identification Kode: 433105659

ა.ა.ი.პ.,,ლაგოდეხის სერვის ცენტრი"ს მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიში

2021 წელი

დაფუძნების დღიდან ორგანიზაცია ყოველდღიურად ახორციელებს შემდეგი სამუშაოებს:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება საყოფაცხოვრებო და მყარი ნარჩენის გატანა შემუშავებული გრაფიკის მიხედვით; ყოველდღიურად იგვება და სუფთავდება ქალაქის ქუჩები და სკვერები.

ხდება სასაფლაოების მოვლა-პატრონობა:ითიბება ბალახი,აგრეთვე იწამლება ბალახი ბალახ საწინააღმდეგო ჰერბიციდებით,იწმინდება ეკალ-ბარდისგან და სუფთავდება საყოფაცხოვრებო ნაჩენისაგან.რეგულარულად ხდება მოვლა პატრონობა ლაგოდეხის ძველი და ახალი სასაფლაოების, საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოებისაც.

მიმდინარეობს დაზიანებული ხეების ჭრა-ვარჯის ფორმირება (22 სამუშო).

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ყოველდღიურად სუფთავდება მაგისტრალების გზების გვერდეულები. ეტაპობრივად და საჭიროებისამებრ სუფთავდება სანიაღვრე არხები.

გამწვანების სპეციალისტების მიერ შეთეთრდა ხეები,სკვერებსა და პარკებში დაირგო ცოცხალი ყვავილები(2214 ნერგი ერთწლიანი მცენარეები - ბეგონია- 729 ძირი, და პეტუნია- 1485 ძირი),აგრეთვე 100 ძირი ირმის რქა .ირწყვება და ითიბება გაზონები , პარკები, სკვერები და სხვა.

ახალი ლედ ტიპის (50 ვატ.-500 ც. და 100 ვატ.-240 ც.) სანათებით,შეიცვალა გარე განათების სისტემა.ეტაპობრივად მიმდინარეობს დაზიანებული და გადამწვარი სანათების შეკეთება-შეცვლა.(აქტების მიხედვით შეკეთებულია 710 სანათი)

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულია სულ 555 ნაგავშემკრები კონტეინერი.სექტემბრის თვეში ,,სერვის ცენტრი"ს მიერ შეძენილი იქნა 50 ც. ურნა,რომელთა განლაგებაც ხდება საჭიროების მიხედვით. (სულ 605 ცალი)

სოფლებში ხდება არსებული სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა,დაზიანებული მილების შეცვლა,მაგისტრალის შეკეთება - მოწყობა (ჩატარდა 33 სამუშაო). საჭიროების შემთხვევაში სუფთავდება სასმელი წყლის სათავეები, ეწყობა სარეგულაციო ჭები, ყოველდღიურად ხდება მაგისტრალის დარეგულირება. (აღმოიფხვრა 140 დაზიანება)

გაიჭრა სანიაღვრე არხები (63 სამუშაო) არსებული არხები იწმინდება ეკალ-ბარდისა და ნაშალისგან , ხდება მილხიდების გაწმენდა (36 სამუშაო) საჭიროებისამებრ ხდება შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა,მოსწორება.

მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე ჩატარდა ხევებში ნაპირსამაგრი და გაწმენდითი სამუშაოები (13 სამუშაო).

ორგანიზაცია სისტემატიურად ეხმარება სტიქიის პერიოდში დაზარალებულ მოსახლეობას.

2021 წლის დასაწყისში ,,სერვის ცენტრის'' ბიუჯეტი იყო 1,307,700 (ერთიმილიონ სამასშვიდიათასშვიდასი) ლარი, ნოემბრის თვეში დაემათა სუბსიდია 78440 (სამოცდათვრამეტიათასოთხასორმოცი) ლარი და შეადგინა 1,386 140 (ერთიმილიონ სამასოთხმოცდაექვსიათას ასორმოცი) ლარი, წლის განმავლობაში ხარჯვებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ორჯერ განხორციელდა პირველადი დამტკიცებული გეგმის ცვლილება. აქედან წლის განმავლობაში გაიხარჯა 1357453,97 (ერთიმილიონსამასორმოცდაჩვიდმეტიათასოთხასორმოცდაცამეტი,97თ)ლარი.

თანხები განყოფილებების მიხედვით :

დასუფთავება და ნარჩენების გატანა : გეგმით: 1019600ლ

ხარჯი:999880,72ლ

მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა განაშენიანება : გეგმით: 117000ლ

ხარჯი: 109822,03ლ

სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია: გეგმით : 76000ლ

ხარჯი : 74303,10ლ

გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია : გეგმით : 173540ლ

ხარჯი : 173448,12 ლ

ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრის დირექტორიე დროებითი ფუნქცია მოვალეობის შემსრულებელი

/ხათუნა ხელაშვილი/